

თელავის მუნიციპალიტეტი

თემი- გულგულა

პრობლემები და განვითარების პოტენციალი

კვლევის შედეგების ანგარიში

კვლევა განხორციელებულია გაეროს ერთობლივი პროგრამის "გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში" დაფინანსებით მიმდინარე "საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" მიერ - "ქალთა გაძლიერება ცვლილებისათვის" პროექტის ფარგლებში



2013



ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი - კვლევის მიზანი, შერჩევა და მეთოდოლოგია	3
2. თემის პროფილი	5
2.1 ინფორმაციარესპოდენტებისშესახებ	5
2.2 სიტუაციისაღწერა - თემშიმოქმედიორგანიზაციები.....	5
2.3 თემისპრობლემებიდასაჭიროებები	5
2.4 ბიზნესის / სოფლისმეურნეობისგანვითარებისპოტენციალი	10
2.5 მოთხოვნაარაფორმალურგანათლებაზე.....	11
2.6 ლიდერობისპოტენციალი	12



1. შესავალი - კვლევის მიზანი, შერჩევა და მეთოდოლოგია

2013 წლის ივლის-ოქტომბერში, საქართველოს სტრატეგიული კვლევის და განვითარების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით განახორციელა კვლევა, რომელიც, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კი სამეგრელოსა და კახეთის რვა მუნიციპალიტეტის ოცდაექვს თემში სიტუაციის შესწავლას ემსახურებოდა.

კვლევის მიზანს, თითოეული თემის პრობლემატიკის და განვითარების პოტენციალის შეფასება წარმოადგენდა. განსაკუთრებული აქცენტი, კვლევის ფარგლებში, ქალთა საკითხებზე გაკეთდა.

თემის პრობლემატიკის შესწავლა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის საფუძველზე მოხდა. კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ გამოკითხვა და ფოკუს ჯგუფი.

სულ, რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, გამოკითხა 935 ადამიანი, გამოკითხულთა 48% მამაკაცი იყო და ხოლო 52% - ქალი. თითოეულ თემში, ასევე ჩატარდა ფოკუს ჯგუფი, სადაც საშუალოდ 10-დან 15 ადამიანამდე იღებდა მონაწილეობას. სულ ოცდაექვსი თემის მასშტაბით ფოკუს ჯგუფებში ჩართული იყო 350-მდე ადამიანი.

ცხრილი # 1 რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული მოსახლეობის რაოდენობა

მუნიციპალიტეტი	თემები	გამოკითხულთა ჯამური რაოდენობა
სენაკი	ახალსოფლისთემი; ნოქალაქევისთემი; ნოსირისთემი	99
ხობი	პირველიმანისისთემი; თორსა-დღვაზასთემი; ქვემოქვალონისთემი	109
აბაშა	სამიქაოსთემი; ნორიოსთემი; გეზათისთემი	81
მარტვილი	ხუნწისთემი; თამაკონისთემი; გაჭედლისთემი	91
თელავი	გულგულისთემი; ვარდისუბნისთემი; ფშაველისთემი; ნაფარეულისთემი	157
საგარეჯო	ნინოწმინდისთემი; უდაბნოსთემი; ხაშმისთემი	84
ლაგოდეხი	ულიანოვკა; ლელიანისთემი; კართუბნისთემი; ვარდისუბნისთემი	166
ყვარელი	გავაზისთემი; ენისელისთემი; ახალსოფლისთემი;	148



კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 18 და მეტი ასაკის რესპოდენტები. კითხვარი შედგებოდა 12 შეკითხვისგან, საიდანაც პირველი ბლოკის შეკითხვები რესპოდენტის შესახებ ინფორმაციის მიღებას მოიაზრებდა (ასაკი, სქესი), ხოლო დანარჩენი - სოფელში არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის შესაძლო გზების შესახებ მოსახლეობის შეხედულებების გამოვლენას ემსახურებოდა.

ფოკუს ჯგუფების ჩატარების მიზანი იყო, რაოდენობრივი მონაცემების შევსება უფრო მდიდარი, ხარისხობრივი ინფორმაციით. ფოკუს ჯგუფები ჩატარდა თითოეულ თემში. ფოკუს ჯგუფში მონაწილეობას ძირითადად თემის აქტიური, ავტორიტეტით მოსარგებლე ქალები იღებდნენ: თემის საინიციატივო ჯგუფის წევრები; სკოლის და ბაღის დირექტორები; რწმუნებული, რწმუნებულის თანაშემწე; ექიმები, ამბულატორიის თანამშრომლები; მრავალშვილიანი ან მარტოხელა დედები; ქალები, რომლებიც მცირე ბიზნესს ეწევიან; ორგანიზატორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ იმ ფაქტს, რომ ფოკუს ჯგუფზე მოწვეული ქალების ასაკობრივი კატეგორია მაქსიმალურად ფართო ყოფილიყო.

ფოკუს ჯგუფის საშუალებით ამოღებული ინფორმაცია ხუთ ძირითად ბლოკში ნაწილდება: თემში არსებული ორგანიზაციები/დაწესებულებები; თემის წინაშე არსებული პრობლემები/საჭიროებები; ბიზნესის განვითარება / სოფლის მეურნეობა; თემში ყველაზე მოთხოვნილი პროფესიები, მოთხოვნა არაფორმალურ განათლებაზე; არსებული ადამიანური რესურსი და ლიდერობის პოტენციალი

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე მომზადდა თითოეული თემის პროფილი, სადაც აღწერილია არსებული პრობლემატიკა, რესურსები და მოსახლეობის ხედვა თემის განვითარების პოტენციალთან დაკავშირებით.



2. თემის პროფილი - გულგულა

2.1 ინფორმაციარესპოდენტებისშესახებ

სულ თემში, სოფელ გულგულაში გამოიკითხა 19 ადამიანი, აქედან 53% ქალი იყო, ხოლო დანარჩენი 47% - მამაკაცი. გამოკითხულთა ასაკი 18-დან 75წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში მერყეობდა. (იხ. ცხრილი #2, 3).

ცხრილი # 2 თემში გამოკითხული მოსახლეობა - ასაკობრივ ჯგუფში

რესპოდენტისასაკი	მდედრობითი	მამრობითი	სულ პროცენტი
18-25 წელი	20%	22%	21%
26-35 წელი	20%	0%	11%
36-45 წელი	10%	44%	26%
46-55 წელი	40%	11%	26%
56-65 წელი	10%	11%	11%
66-75 წელი	0%	11%	5%
75 წელი და ზემოთ			

ცხრილი # 3 თემში გამოკითხული მოსახლეობა

სოფელი	მდედრობითი	მამრობითი	სულ ჯამი
გულგულა	10	9	19

2.2 სიტუაციისაღწერა - თემში მოქმედი ორგანიზაციები

ფოკუს ჯგუფიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, თემში, სოფელ გულგულაში ფუნქციონირებს სკოლა, ბაღი, მაღაზიები, სათემო ცენტრი, სამკერვალო, ავეჯის ცეხი, ტერიტორიული ორგანო. სოფელში არის რამდენიმე ეკლესია, მაგრამ არცერთი არ არის მოქმედი. სოფელში მუშაობს სათემო ცენტრი, რომელიც საქართველოს სტრატეგიული კვლევის და განვითარების ცენტრის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა. სხვა ორგანიზაცია ან საერთაშორისო ფონდი თემში არ მუშაობს, თუმცა სათემო ცენტრს აქვს მოპოვებული გრანტები სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ფონდიდან. ზოგადად, მოსახლეობა უკმაყოფილოა ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობით სოფელში, რადგან არ სრულდება დაპირებები და არ გვარდება ის პრობლემები, რაც მოსახლეობას აწუხებს.



მაგალითად, სოფელ გულგულაში არის რამდენიმე აქტიური ქალი (5 ქალი), რომლებიც დაინტერესებულნი არიან სოფელში ეკლესიის ამოქმედებით. მათ შეაგროვეს მოსახლეობაში ფული, მიმართეს მუნიციპალიტეტს, მაგრამ, დღემდე არავინ აქცევს ყურადღებას და პრობლემა პრობლემად რჩება; ასევე, გულგულის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს ღვინის ქარხანა და მისი ვენახები, სადაც სასუქად დაყრილია ნაკელი და აქვს საშინელი სუნი, რაც აწუხებს მოსახლეობას. თემის მაცხოვრებლებმა მიმართეს ადგილობრივ თვითმმართველობას, მაგრამ არავინ არც ამ საკითხზე მომხდარა რეაგირება.

2.3 თემის პრობლემები და საჭიროებები

კვლევის ერთ-ერთ მიზანს თემის წინაშე არსებული პრობლემების გამოვლენა წარმოადგენდა. ამასთან, კვლევის ამოცანა იყო შეგვესწავლა როგორც მოსახლეობის ზოგადი პრობლემატიკა, ასევე - ქალთა კონკრეტული საჭიროებები.

ცხრილი # 4 თემში გამოკითხული მოსახლეობის მიერ დასახელებული ზოგადი სახის პრობლემები


პრობლემა	მდედრობით ო	მამრობით ო	სულ სიხშირე
მოუწყობელი ინფრასტრუქტურა	9	7	16
დასაქმების სირთულე	10	2	12
ბიზნესის წამოწყებისათვის შესაძლებლობების არარსებობა	0	0	0
სწავლა/განათლების, ახალი ცოდნის დაუნარჩევების შეძენის მწირი შესაძლებლობები	0	0	0

შეკითხვაზე: „თქვენი აზრით, რა ძირითადი პრობლემები (ზოგადი სახის) დგას დღეს-დღეობით თქვენი თემის / სოფლის წინაშე ყველაზე მწვავედ?“

გამოკითხულთა უმრავლესობამ (16 რესპოდენტი) მოუწყობელი ინფრასტრუქტურის პრობლემა დაასახელა; (იხ. ცხრილი # 4 დიაგრამა #1)



დიაგრამა # 1 ზოგადი პრობლემები



ზოგადი პრობლემების დასახელების კუთხით, გამოიკვეთა განსხვავებები სქესის ჭრილში. ქალების მხრიდან დასაქმების პრობლემა უფრო ხშირად სახელდება.

რესპოდენტებს, ასევე ვთხოვდით, დაეზუსტებინათ საკუთარი პასუხები და უფრო დაწვრილებით განემარტათ, რას გულისხმობდნენ გაუმართავი ინფრასტრუქტურის და საკუთარი ბიზნესის წამოწყების კუთხით არსებულ პრობლემებში. გამოკითხული რესპოდენტების უმეტესობა გაუმართავ ინფრასტრუქტურაში გზის და სასმელი წყლის პრობლემას ასახელებს (იხ. ცხრილი # 5)



ცხრილი # 5 დასახელებული ინფრასტრუქტურული პრობლემები

პრობლემა	რაოდენობა
გზა	13
სასმელიწყალი	9
გაზი	3
ნაგავსაყრელი	2
ტრანსპორტი	2
ახალგაზრდობისდასაქმება	1

შეხვედრაზე ფოკუს ჯგუფის წევრებმა ჩამოთვალეს რიგი პრობლემები, რომლებიც მათ და მთელს სოფელს აწუხებს. ესენია:

- სასმელი წყალი (სიმცირე);
- სოფლის ტერიტორიაზე ცენტრალური ნაგავსაყრელი; ნაგვის მანქანა არ დადის სოფელში;
- არ ტარდება კულტურული ღონისძიებები;
- უმუშევრობა;
- ადამიანის უფლებების არ ცოდნა;
- დაბალი პენსია;
- საგანმანათლებლო პროგრამების ნაკლებობა;
- საბავშვო ბაღში არასათანადო ჰიგიენური პირობები.

ეს პრობლემები არის მასშტაბური და აწუხებს მთელს სოფელს. მოსახლეობა (ქალები) მზადყოფნას გამოთქვამს, მიიღოს მონაწილეობა აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში და ჩაერთოს თავისი, როგორც ფიზიკური, ასევე ფინანსური რესურსებით.

ასევე, ქალები განიცდიან ინფორმაციის ნაკლებობას ადამიანის უფლებების შესახებ. მათ უნდათ მეტი ინფორმაციის მიღება ტელევიზიით, ბროშურებით და კონსულტაციებით ამ საკითხთან დაკავშირებით. ქალებისთვის სწავლის, განათლების და შესაძლებლობების განვითარების კუთხით, სოფელში არსებობს მხოლოდ სკოლა და სათემო ცენტრი. ქალებს ეს არ მიაჩნიათ საკმარისად და უნდათ დამატებით კურსებში ჩართვა (საბუღალტრო და უცხო ენის (ინგლისური ენა) კურსები, სტილისტის კურსები, კულინარიული კურსები).



ცხრილი # 6 დასახელებული პრობლემები, რომლებიც განსაკუთრებით ქალებს აწუხებს

ქალთა პრობლემები	დასახელებული პასუხების სიხშირე		
	მდედრობითი	მამრობითი	სულ
დასაქმება	9	8	17
ბიზნესის წამოწყება	6	1	7
გასართობი და კულტურული ღონისძიებების ნაკლებობა	1	4	5
ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა	4	1	5
ჯანდაცვითი სერვისის ხელმიუწვდომლობა	0	4	4
სწავლის და განვითარების შესაძლებლობების სიმცირე	2	1	3
თავშეყრის ადგილის არარსებობა	0	1	1
მოთხოვნა დიპროფესიების დაუფლება	0	1	1
თვითგამოხატვის და განვითარების შესაძლებლობების არარსებობა	0	0	0
სპორტული და გამაჯანსაღებელი კომპლექსების არარსებობა	0	0	0
შეზღუდვები ოჯახის მხრიდან	0	0	0

კონკრეტულად ქალთა საჭიროებებში, ყველა ხშირად, დასაქმება და ბიზნესის წამოწყება დასახელეს. (იხ. ცხრილი #6).

შეკითხვაზე: „თქვენი აზრით, რა ტიპის ინფორმაცია დაეხმარებოდა ქალებს, თქვენს თემში, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებასა და პრობლემების მოგვარებაში?“ მოსახლეობის მიერ გაცემულ პასუხებში ყველაზე ხშირად დასახელდა ინფორმაცია: „დასაქმების შესაძლებლობების შესახებ“ (16 რესპოდენტი) და „სახელმწიფო პროგრამების შესახებ ჯანდაცვის კუთხით“ (5 რესპოდენტი) შესახებ (იხ. ცხრილი #7).



ცხრილი # 7 ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება ქალებს საკუთარი პრობლემების მოგვარებაში

ინფორმაციის კატეგორია	სიხშირე
დასაქმების შესაძლებლობების შესახებ	16
სახელმწიფო პროგრამების შესახებ ჯანდაცვის კუთხით	5
სახელმწიფო პროგრამების შესახებ სოციალური დახმარების კუთხით	4
სწავლის და განვითარების შესაძლებლობების შესახებ	3
სასოფლოსამეურნეო კრედიტების შესახებ	3
სახელმწიფო პროგრამების შესახებ განათლების კუთხით	1
დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ	0

2.4 ბიზნესის / სოფლისმეურნეობის განვითარების პოტენციალი

ფოკუს ჯგუფის ჩატარების შედეგად მიღებული ინფორმაციით, სოფელში განვითარებულია მევენახეობა, მეცხოველეობა, მეთესლეობა და რამდენიმე ადამიანს აქვს სათბური, რაც ქალებს მიაჩნიათ პერსპექტიული დარგად. სოფელში ბიზნესი არ არის განვითარებული. მხოლოდ კერძო რამდენიმე თონე და მაღაზია ფუნქციონირებს. მოსახლეობას სოფლის მეურნეობიდან მოყვანილი პროდუქციის გასაღებად უჭირს და ხშირ შემთხვევაში პროდუქტი უფუჭდება. პრობლემა იმაშია, რომ მოსახლეობამ არ იცის რაზეა მეტი მოთხოვნა, რადგან მოთხოვნები ყოველწლიურად იცვლება (ბაზარზე დიდი რაოდენობის ერთი სახის პროდუქცია იწვევს ფასის ვარდნას, რაც ზარალია გლეხისთვის და აღარ იცის მეორე წლისთვის რა დათესოს, რომ იგივე არ განმეორდეს). მოსახლეობა სოფლის მეურნეობის განსავითარებლად იღებს კრედიტს და ძალიან მცირე ნაწილს აქვს დანაზოგი. სამომავლოდ, ბიზნესის განვითარების პოტენციალს მოსახლეობა ხედავს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, რძის და ყველის გადამამუშავებელი ქარხნების ამუშავებაში. რაც შეეხება სოფელში მცხოვრებ ქალებს, უმრავლესობა არ არის დაინტერესებული ბიზნესის წამოწყებით და განვითარებით, რადგან ამაში, ისევ და ისევ უსახსრობა უშლით ხელს. ქალები თვლიან რომ რაიმეს წამოსაწყებად, უფრო მეტი განათლება უნდა ჰქონდეთ ბიზნეს გათვლებზე და უნდა იცოდნენ ბიზნეს გეგმის წერა.



რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, განსაკუთრებით პერსპექტიულად, მოსახლეობას მევენახეობა და მესაქონლეობა/მეცხოველეობამიაჩნია. ასევე, რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ თემის მოსახლეობას განვითარების პოტენციალის მქონე სფეროდ ვაჭრობა მიაჩნია. (იხ. ცხრილი ## 8,9)

ცხრილი # 8 მოსახლეობის შეხედულებები ბიზნესის განვითარების პოტენციალის მქონე სფეროების შესახებ

ბიზნესისგანვითარების პოტენციალის მქონე სფერო	სიხშირე
მევენახეობა	10
მეცხოველეობა	7
მესაქონლეობა	3
მეზოსტნეობა	3
მემარწყვობა, მარწყვის ბიზნესი	3
მელვინეობა	2
მეფუტკრეობა	1

ცხრილი # 9 განვითარების პოტენციალის მქონე სფერო / დარგი

განვითარების პოტენციალის მქონე სფერო / დარგი	სიხშირე
ინფორმირება	0
კომპიუტერის, უცხოენების სწავლება	0
ვაჭრობის წამოწყება	2
წარმოების წამოწყება	0

2.5 მოთხოვნა არაფორმალურ განათლებაზე

ფოკუს ჯგუფზე, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სოფელში საჭიროა ქალები თვლიან, რომ სოფელში ყველა პროფესიის ადამიანი ცხოვრობს და გულგულაში არცერთი პროფესიის ადამიანის ნაკლებობა არ არის, გარდა ბიოლოგისა და აგრონომისა. გარდა თავისი პროფესიებისა, ქალებს უნდათ დამატებითი კურსების გავლა დღეს-დღეობით ყველაზე მოთხოვნად პროფესიებზე. ისინი სიამოვნებით მიიღებდნენ მონაწილეობას სტილისტის, ინგლისურის ენის, საბუღალტრო და კულინარიის შემსწავლელ კურსებში, რაც უფრო კონკურენტუნარიანებს გახდიდათ და მეტი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას მისცემდა მათ. სოფელში ტრადიციული ხელობებია - ავეჯის დამზადება, ტრაქტორის შეკეთება და კაფელზე მუშაობა.



სოფელში ან სოფელთან ახლოს არ არის ადგილი, სადაც მოსახლეობას ექნებოდა საშუალება სხვადასხვა კურსები გაეელო, ამიტომ ისინი, მიუხედავად დიდი სურვილისა, ვერ იღებენ დამატებით განათლებას და ვერ ეუფლებიან ახალ პროფესიას. სოფელში, ძირითადად დასაქმებულები არიან მასწავლებლები, აგრონომები და ეკონომისტები. მოსახლეობის უმეტესობა სოფლის მეურნეობით არის დაკავებული.

ცხრილი # 10 მოთხოვნადი პროფესიები, რომელთა დაუფლებას ისურვებდა მოსახლეობა

პროფესია	ყველაზე მოთხოვნადი	ვისურვებდი დაუფლებას
ხელსაქმის მასწავლებელი	6	6
უცხოენის პედაგოგი	4	5
ბუღალტერი / ფინანსური მენეჯერი	1	2
მასწავლებელი, კერძორეპეტიტორი	9	2
გაყიდვების მენეჯერი/აგენტი	2	1
მოლარე, გამყიდველი, მაღაზიის მენეჯერი	2	1
მზარეული / მცხობელი	1	0
მიმტანი	0	0
მომვლელი	0	0

რაოდენობრივ კვლევაში მოსახლეობას ასევე ვთხოვდით დაეფიქსირებინათ საკუთარი შეხედულებები მოთხოვნად პროფესიებთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით, ყველაზე მეტი ხმა როგორც მოთხოვნის, ასევე დაუფლების სურვილის მიხედვით, ხელსაქმის მასწავლებლის პროფესიამ მიიღო (იხ. ცხრილი # 10)

2.6 ლიდერობის პოტენციალი

კვლევის ერთ-ერთ ამოცანას, თემში, ლიდერი ქალების გამოვლენაც წარმოადგენდა. ფოკუს ჯგუფზე მონაწილეებმა ლიდერებად დაასახელეს მაია ჩაველაშვილი, როგორც ადამიანი, რომელიც სოფლის პრობლემებს აგვარებს პროექტების გზით და კეთილი საქმის კეთებით არის დაკავებული.

რაოდენობრივი კვლევის შედეგებითაც ლიდერობს მაია ჩაველაშვილი.



ცხრილი # 11 ქალი ლიდერები - დასახელების სიხშირის მიხედვით

დასახელებული ლიდერის სახელი და გვარი	ხმათა რაოდენობა
მაიაჩაველაშვილი	8
ნუნუფიცხელაური	2
ნაირაწულუკიძე	2
თინაწულუკიძე	2
ელზაჩაველაშვილი	1
მანანათალიშვილი	1
ანაგიგაური	1
სოფობასილაშვილი	1
ნინოჭყოიძე	1
ფიქრიადადალური	1
მაიმრელაშვილი	1
თამუნაკენციშვილი	1
ნელიგიგაური	1
ნინოგიგაური	1
იზარამიშვილი	1
ვენერაჯავახიშვილი	1
დალიხუციშვილი	1
ეკაჩაველაშვილი	1
იზაყალამაშვილი	1